საქართველო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება N 37 715

01/07/2016

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1548 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.54.129) არსებული ნაგებობის (ყოფილი ბაღის შენობის ნანგრევების) პრივატიზების შესახებ განმეორებითი პირობიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადების თაობაზე**

---

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54–ე მუხლის პირველი ნაწილის „დ"–ქვეპუნქტის „დ.ა"–ქვეპუნქტის, „ე"–ქვეპუნქტის „ე.ე"–ქვეპუნქტის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ნოემბრის №38 179 განკარგულებისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები"-ს მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

**1.1.** სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1548 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.54.129) არსებული ნაგებობის (ყოფილი ბაღის შენობის ნანგრევების) პრივატიზების შესახებ გამოცხადდეს განმეორებითი პირობიანი ელექტრონული აუქციონი.

**1.2.** პირობად განისაზღვროს, რომ:

**1.2.1.** ნაგებობის დემონტაჟი და როგორც ნაგებობის, ასევე მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანა უნდა განახორციელოს აუქციონში გამარჯვებულმა პირმა.

**1.2.2.** ნაგებობის დემონტაჟის და როგორც ნაგებობის, ასევე მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ხარჯები გაწეულ უნდა იქნეს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ.

**1.2.3.** ნაგებობის დემონტაჟის და როგორც ნაგებობის, ასევე მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ვადად განისაზღვროს 1 (ერთი) თვე. აღნიშნული 1 (ერთი) თვიანი ვადა აითვალოს აუქციონში გამარჯვებულ პირთან ხელშეკრულების დადებიდან.

**1.3.** განმეორებით პირობიან ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1548 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.54.129) არსებული ნაგებობის (ყოფილი ბაღის შენობის ნანგრევების) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 1000 (ათასი) ლარი.

**1.5.** განმეორებით პირობიან ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1548 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.54.129) არსებული ნაგებობის (ყოფილი ბაღის შენობის ნანგრევების) ბიჯი განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%–ს ოდენობით.

**1.6.** განმეორებით პირობიან ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1548 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.54.129) არსებული ნაგებობის (ყოფილი ბაღის შენობის ნანგრევების) საგარანტიო თანხა განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%–ს ოდენობით.

**1.7.** ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

**2.** ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვალერიანე ფოცხვერია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი